

ქართველოლოგიის ერთგული მკვლევარი

ფართო და მრავალწახანაგოვანია პროფესორ იზა ჩანტლაძის სამეცნიერო ინტერესები და მემკვიდრეობა, იგი თანაბარი სიყვარულითა და ინტერესით იკვლევს ენათმეცნიერების კონკრეტულ პრობლემატიკასაც და თეორიულ საკითხებსაც. ლინგვისტური ქართველოლოგიის სფეროში გამოქვეყნებულ მის შრომებს ამ პრობლემატიკით დაინტერესებული ვერც ერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის. მან განსაკუთრებული ადგილი დაუთმო ქართული დიალექტებისა და ქართველური ენების, კერძოდ კი, ერთ-ერთი არქაული ქართველური ენის — სვანურის შესწავლასა და კვლევას, რასაც უდიდესი დრო და ენერჯია შეაღია. იზა ჩანტლაძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში აკადემიკოსების: არნოლდ ჩიქობავას, ვარლამ თოფურიას, ქეთევან ლომთათიძის, თინათინ შარაძენიძისა და პროფესორ გივი მაჭავარიანის სამეცნიერო სკოლაში მიიღო წვრთნა, ჩამოყალიბდა ღრმა პროფესიონალ მკვლევრად. მის მეცნიერულ მოსაზრებებს დიდ ანგარიშს უწევენ საქართველოსა და საზღვარგარეთის ქართველოლოგიურ ცენტრებში მოღვაწე პროფესორები.

იზა ჩანტლაძემ წლები მოანდომა სვანური ენის ფენომენისა და მისი ეთნოლინგვისტური მახასიათებლების შესწავლას. მრავალი შრომა მიუძღვნა სვანთა მეტყველების ლინგვოკულტუროლოგიური პრობლემატიკის კვლევას და მისი მოღვაწეობა ამ მიმართულებით დაგვირგვინდა მონუმენტური წიგნით „კოდორული ქრონიკები (გამოკვლევებითურთ)“, რომელიც თავის აღზრდილ ასპირანტებთან ერთად მოამზადა. ცხადია, ამ გამოცემაში, რომელიც დაბეჭდილია გრიფით „მასალები ქართველურ ენათა შესწავლისათვის“, ხოლო მომზადებულია არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში რუსთაველის ფონდის საგრანტო დაფინანსებით, უდიდესი წვლილი სწორედ იზა ჩანტლაძემ შეიტანა, ისაა მისი ინიციატორიცა და განმახორციელებელიც. **გამოცემას ენათმეცნიერულთან ერთად უდიდესი პოლიტიკური დატვირთვაც აქვს, რადგან იგი, როგორც თავად ქალბატონი იზა ჩანტლაძე აღნიშნავს, ქართველი და აფხაზი ხალხების მეგობრულ, ნათესაურ და კეთილმეზობლურ ურთიერთობათა აღდგენის ერთ-ერთ საშუალებად წარმოგვიდგება.** მასში გამოქვეყნებულია ჩვეულებრივი საუბრებიც და საინტერესო ისტორიებიც დალის

(კოდორის) ხეობის მკვიდრთა ყოველდღიური ცხოვრებიდან, წეს-ჩვეულებებიდან. თუ რა მრავალფეროვანია ქართული ენა, ამას მოწმობს ქართველურ ენათა და დიალექტთა სიმრავლე; მათ შორისაა დალის ხეობის სვანურიც, რადგან იგი გარკვეულწილად განსხვავდება ბალსზემოურ და ბალსქვემოურ კილოთა მონაცემებისაგან. **ამ ხალხური მატანის გამოცემით იზა ჩანტლაძემ და მისმა მოწაფეებმა ჩვენი წარსულის, აწმყოსა და მომავლის წინაშე ჩინებულად მოხსადეს თავიანთი მოქალაქეობრივი ვალი; ესაა წიგნი, რომელიც ინახავს ქართველი ერის ხაუნჯეს — ერთ-ერთ ქართველურ ენას, მის ერთ-ერთ ინტერფერენციურულ დიალექტს — დალის ხეობის სვანურს, ამ ხეობაში შემონახულ კულტურას. იგი დახტურია საუკუნეების განმავლობაში მრავალჭირგამოვლილი ქართველი ერის ისტორიულ მენსიერებაში დალექილი ცოდნისა, ენობრივი ფენომენისა, რომელიც არ უნდა გაქრეს, არ უნდა დაიკარგოს!** წიგნი დაბეჭდილი მასალა საოცრად მრავალმხრივია: დიალექტოლოგიური, ეთნოლოგიური, სოციალურ-პოლიტიკური, ფოლკლორული. **ეს ტექსტები ინახავს სვანეთის მკვიდრთა ცხოვრების სიმძიმეს, ხადარდელს, ხიხარულს, ფიქრსა და ოცნებას.**

იზა ჩანტლაძის საქმიანობა უდიდესი სიყვარულის, უანგარო და თავდადებული სამსახურის, პრინციპულობის ნიმუშია. თავად უადრესად მომთხოვნი საკუთარი თავის მიმართ, ასეთივეა სხვათა მიმართაც, რაშიც ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩვენმა სამწლოვანმა თანამშრომლობამ დამარწმუნა. მეცნიერული კვლევის წარმატების საწინდარი ერთდროულადაა ნიჭიერება და საქმის დაუზარებლობა, მუხლჩაუხრელი შრომა, პრინციპულობა, რაც უხვად აქვს მიმადლებული ქალბატონ იზას, ხოლო მეცნიერის უპირველესი მოვალეობა მოვლენების სწორი ანალიზი და შეფასებაა, რითაც მკვეთრად გამოირჩევა იგი.

საყოველთაოდ ცნობილი მკვლევარი სამეცნიერო მუშაობას შესანიშნავად უთავსებს პედაგოგიურ მოღვაწეობას, რასაც მის ცხოვრებაში უდიდესი ადგილი უჭირავს. იგი რამდენიმე უნივერსიტეტში კითხულობდა და კითხულობს ლექციებს ქართული ენათმეცნიერების სხვადასხვა დარგში, მას აღზრდილი და დაკვალიანებული ჰყავს მრავალი ასპირანტი, რომლებიც ამჟამად სამეცნიერო ასპარეზზე თავადაც წარმატებით მოღვაწეობენ, მისი ხელმძღვანელობით დაცული აქვთ დისერტაციები.

იზა ჩანტლაძე ბევრს ფიქრობს დარგის სადღეისო და სამომავლო პრობლემებზე, თავის გამოცდილებას უზიარებს კოლეგებს, უმცროს თაობას, სტუდენტებს, მაგისტრანტებს, დოქტორანტებს. **ღრმად სწამს, რომ გლობალიზაციის პირობებში აუცილებელია ქართული ენათმეცნიერების მომავალზე ზრუნვა და ცდილობს ეროვნული კულტურული მემკვიდრეობისა**

და ცნობიერების დაცვას, რაც უპირველესად ენობრივ ფენომენში ვლინდება. ალბათ, არც ისაა შემთხვევითი, რომ სწორედ ქალბატონმა იზამ დაარსა ქართული ეროვნული კულტურის სკოლა „კაი ყმა“. მას ხშირად იწვევენ ოპონენტად, თანამშრომლობს საზღვარგარეთის მეცნიერებთან, დიდი ავტორიტეტით სარგებლობს თავის კოლეგებში, სტუდენტ-მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს შორის, მომავალ თაობებს ზრდის ღრმა პროფესიონალიზმით, მოქალაქეობრივი შეგნებისა და პასუხისმგებლობის გრძნობით.

ქალბატონი იზა ჩანტლაძე ხშირად მონაწილეობს ჩვენში და საზღვარგარეთ გამართულ კონგრესებში, სიმპოზიუმებსა თუ კონფერენციებში მოხსენებებით და ყოველთვის ისეთ პრობლემატიკას არჩევს, რაც საინტერესო იქნება იმ ქვეყნისთვისაც, სადაც სამეცნიერო ფორუმი იმართება, აგრეთვე, ითვალისწინებს მონაწილეთა მეცნიერულ ინტერესებს და აქტიურად ერთვება პოლემიკაში. ვფიქრობ, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვინ წარადგენს ჩვენს სამშობლოს, ქართულ კულტურას საზღვარგარეთის სამეცნიერო წრეებში. იგი ღირსეული მეცნიერია საქართველოსა და მისი კულტურის წარმდგენად ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ღრმად განათლებული, დახვეწილი ინტელიგენტი ცხოველი ინტერესით ეხმაურება ყოველ საზოგადო საჭირობო პრობლემას, რომელიც ქართველოლოგიას შეეხება, ყოველ საქმეს ბოლომდე მისდევს, რათა სწორი აზრი დამკვიდრდეს. იზა ჩანტლაძე საინტერესო მთხრობელი და მოსაუბრეა, ხშირად გურული იუმორით გაზავებული მისი საუბრები მსმენელთა დიდ ინტერესს იწვევს.

ქალბატონი იზა ჩანტლაძის მოღვაწეობა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში რამდენიმე წლის განმავლობაში გრძელდებოდა; ეს წლები იყო მეტად ნაყოფიერი, რადგან იგი აქტიურად მონაწილეობდა უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობაში, კითხულობდა მოხსენებებს „გულანის“ სხდომებზე, საუნივერსიტეტო კონფერენციებზე.

მინდა გავიხსენო თურქეთში, ქალაქ ორდუს უნივერსიტეტში, გამართული საერთაშორისო სიმპოზიუმი. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლების საკონფერენციო თემატიკა ქართულ-თურქული ისტორიული, ეთნოლინგვისტური, ფოლკლორული, ლიტერატურული, კულტუროლოგიური, სოციოლოგიური ურთიერთობების პრობლემატიკით იყო შემოფარგლული. კონფერენციაში მონაწილეობდნენ: ირანის, აზერბაიჯანის, შუა აზიის რესპუბლიკების, ჩრდილო და სამხრეთ კავკასიისა და თურქეთის წამყვანი უნივერსიტეტების ცნობილი მეცნიერები. საქართველოდან გახლდით: იზა ჩანტლაძე, თინათინ გელაშვილი, ცირა მესხიშვილი, მზისა ბუსკივაძე, მაია მესხიძე, მერაბ ბერიძე, ტარიელ სინარულიძე, ნოდარ გოროხოვი, როინ ყავრელიშვილი და მე.

კონფერენცია საინტერესო და ნაყოფიერი გამოდგა, სადაც სრულყოფილად წარმოჩნდა ქართველ მკვლევართა მალალი დონე და სამეცნიერო პოტენციალი, რაც სხვა ქვეყნების მეცნიერებმაც ხაზგასმით აღნიშნეს. მიუხედავად ენობრივი ბარიერისა (კონფერენცია, ორიოდე გამონაკლისის გარდა, თურქულად წარიმართა), ქართველმა მეცნიერებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს დისპუტებში, რომლებიც მოხსენებების წაკითხვის შემდეგ იმართებოდა და რაშიც გვეხმარებოდნენ ქართველი თურქოლოგები. აქვე მინდა ისიც აღვნიშნო, რომ ჩვენ თან გვქონდა მოხსენებათა თურქული თარგმანები, რომელთა დიდი ნაწილი როინ ყავრელიშვილისა და ნანა კაჭარავას მიერ იყო შესრულებული. ამდენად, ქართველ მეცნიერთა კვლევები ხელმისაწვდომი იყო თურქულენოვანი მეცნიერებისათვის. საგანგებოდ უნდა გავხაზო, რომ ამ თურქულ გარემოში ქალბატონმა იზამ და მე მოხსენებები ქართულად წავკითხეთ, რადგანაც სხვებისთვის ჩვენი ტექსტების თურქულად გაცნობა სხდომათა დარბაზში არსებული ელექტრონული აპარატურის საშუალებით იყო შესაძლებელი.

თურქულენოვან მეცნიერთა ის მოხსენებები, რომლებიც უშუალოდ საქართველოს ისტორიასა და ქართულ ენობრივ პრობლემებს შეეხებოდა, ყოველთვის სწორ თვალსაზრისს არ გამოხატავდა, ამიტომაც ერთგვოდნენ ახალციხის უნივერსიტეტის მეცნიერები კამათში და აწვდიდნენ მათ ქართულ და უცხოურ წყაროებზე დამყარებულ ობიექტურ ინფორმაციებსა და შეხედულებებს. ამ მხრივ აქტიურობით გამოირჩეოდა ქალბატონი იზა, რომელმაც ანკარის უნივერსიტეტის პროფესორთან, თურქეთის ერთ-ერთ წამყვან მეცნიერთან, საყოველთაოდ ცნობილ ლინგვისტთან (გვარს შეგნებულად არ ვასახელებ!) ქალაქ ორდუს სახელწოდების ეტიმოლოგიის თაობაზე კამათისას ეს ტოპონიმი ქართველური წარმომავლობისად მიიჩნია. მისი აზრით, ქალაქის სახელწოდების ძირი მეგრულ-ლაზურ-სვანურ „ზრდას, სიცოცხლეს, ყოფნას, არსებობას“ (ო-რდ-უ, ლი-რდ-ე) უკავშირდება. ეს გამოსვლა გახლდათ ქართველი მკვლევრის მალალი პროფესიონალიზმის გამოხატულება. ფაქტობრივად, თურქმა მეცნიერმა დიდი ვერაფერი დაუპირისპირა მოკამათის მოსაზრებას, იმდენად ნათელი იყო ქალბატონი იზას აზრის სიმართლე. იმ დარბაზში სხვებთან ერთად ორდუსში ამჟამად მცხოვრები (ისტორიულად ემიგრირებული) ლაზი მეცნიერებიც იხსენებდნენ. აშკარად გამოჩნდა, თუ რაოდენ აუცილებელია ქართველი ერისათვის სასიცოცხლო და კარდინალურ საკითხებზე მსჯელობისას უცხოელ მეცნიერთა შეხედულებების გაცნობა, რათა ჩვენგან სწორი ცნობების მიწოდების შედეგად ობიექტური მოსაზრებები დამკვიდრდეს სამეცნიერო წრეებში და შევიდეს მიმოქცევაში.

მინდა სიამოვნებით აღვნიშნო, რომ ამ კონფერენციამ კიდევ უფრო დაგვაახლოვა ქალბატონი იზა და მე, რადგანაც ჩვენ იქაური მშვენიერი სასტუმროს ერთ ნომერში ვცხოვრობდით. ისიც მინდა გავიხსენო, რომ ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა საცხოვრებელ კორპუსშიც გვერდიგვევრდოდა ოთახებში ვიყავით განთავსებულნი და მეგობრულ-კოლეგიალურთან ერთად კეთილმეზობლური ურთიერთობაც გვქონდა. ცხადია, ეს თბილი დამოკიდებულება ამჟამადაც გრძელდება.

ქალბატონ იზა ჩანტლაძეს არაჩვეულებრივი სამეგობრო ჰყავს და ყოველთვის იცის თითოეული მათგანის სიხარული და გასაჭირი, წარმატება და ჩანმრთელობის მდგომარეობა. როდესაც მისი სიყრმის მეგობარი, თანაკურსელი ლიანა კვირიკაშვილი ძალიან ავად გახდა, მან ეს ამბავი საშინლად განიცადა, ხოლო მისმა გარდაცვალებამ ქალბატონ იზაზე ისე მძიმედ იმოქმედა, რომ გადაწყვიტა, გამოსაცემად მოემზადებინა მემორიალური წიგნი, რომელშიც აისახებოდა შესანიშნავი ბიზანტინოლოგის ცხოვრება და მოღვაწეობა. **სწორედ ამ დიდებული საქმის ჩანაფიქრმა მისცა მაშინ იდეის ავტორს ერთგვარი შვება.**

ძნელად მოიძებნება ადამიანი, რომელიც ასე ერთგულად და პროფესიულად შესდგომოდა ურთულეს სამუშაოს, მაგრამ ქალბატონ იზას ეს მეგობრის საოცარმა სიყვარულმა, მისადმი უღრმესმა პატივისცემამ და ხსოვნამ შეაძლებინა. წიგნის არქიტექტონიკა უშუალოდ იზა ჩანტლაძეს ეკუთვნის; მთავარმა რედაქტორმა იმთავითვე განსაზღვრა მასში მონაწილეთა ვინაობა, ყველას თავისი მისია დააკისრა და დაუვიწყარ მეგობარს მართლაც შესანიშნავი წიგნი უძღვნა, რომლის სახელწოდებაც ქალბატონი ლიანა კვირიკაშვილის სიტყვებიდან შეარჩია და „მიქაელ მოდრეკილის რტო“ უწოდა. ახსნა-განმარტება არ სჭირდება იმას, რომ წიგნისათუ თხზულების სათაური, რომელიც მრავალგვარი მნიშვნელობისაა, საგნის, სათქმელის არსს გამოხატავს. ა. ლოსევის განმარტებით, სახელდება არის ფორმა, სახე, აზრი, სხვა წიგნისათუ თხზულებისაგან განსხვავებულობა, რომელმაც ავტორის კონცეპტები უნდა გადმოსცეს: წიგნის/თხზულების სახელწოდება თავისებური გასაღებია, რომელმაც საკითხის არსი უნდა ახსნას და მკითხველს — დაინტერესებულ პირს ერთდროულად ამცნოს თემაც და ავტორის პოზიციაც. სწორედ ამან გადააწყვეტინა ქალბატონ იზას ამ წიგნის მეტაფორული სახელწოდების შერჩევა, რადგან „მიქაელ მოდრეკილის რტო“ ლიანა კვირიკაშვილის საქმიანობის სფეროს, ჰიმნოგრაფიაში გაწეულ მის ღვაწლს (ორიგინალურად მეცნიერულს) და მის შინაგან სულიერ სამყაროს ერთდროულად ასახავს.

მოკლედ მაინც უნდა ითქვას ამ რთული შედგენილობის წიგნის თაობაზე, რომელსაც მთავარი რედაქტორის წინათქმა უძღვის. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სამძიმრის ტექსტის გამოქვეყნება ავტოგრაფის სახით.

იზა ჩანტლაძემ თავადვე შეარჩია სარედაქციო საბჭოს წევრები (სა-
ყოველთაოდ ცნობილი მეცნიერები), რედაქტორები, რეცენზენტები; წიგნის
რედაქტორ-გამომცემელია ლიანა კვირიკაშვილის თანაკურსელი მეგობარი
ემა ლებანიძე-დადიანი (ფილოლოგი, უმაღლესი კატეგორიის პედაგოგი),
ხოლო ნაშრომი გამოსაცემად მომზადდა აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას
სახელობის ენთმეცნიერების ინსტიტუტში. მასში დაბეჭდილია ინგლისურ
და რუსულენოვანი სტატიებიც.

პროფესორმა იზა ჩანტლაძემ ამ უაღრესად საინტერესო და მნიშვნე-
ლოვან წიგნში თავი მოუყარა თვით ლიანა კვირიკაშვილის ნაშრომების
ნაწილს; შეკრიბა საარქივო მასალები მისი ბიოგრაფიის, სადისერტაციო
თემების შესახებ, დაბეჭდა ქალბატონი ლიანას გამოქვეყნებული და გამო-
უქვეყნებელი შრომების ბიბლიოგრაფია, ქართული და ბერძნული ხელნა-
წერი-ავტოგრაფები, ლიანა კვირიკაშვილის ხოტბანი, მიძღვნილი მოძღვართ-
მოძღვრის — აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილისადმი, მასწავლებლე-
ბის, დედის, მეუღლის, შვილების, შვილიშვილების, მეგობრებისადმი. ასევე,
წიგნში დაბეჭდილია ქალბატონი ლიანას მეცნიერული ნააზრევის შესახებ
სპეციალისტების მიერ დაწერილი სტატიები, რომლებშიც დიდებულადაა
შეფასებული მისი ღვაწლი ქართული ლიტერატურის კვლევის საქმეში;
კერძოდ, დამოწმებული და გამოქვეყნებულია: სიმონ ყაუხჩიშვილის,
თინათინ ყაუხჩიშვილის, ვაჟა გვახარიას, ელგუჯა ხინთიბიძის,
ლალი ჭღამაია-გრიგოლიას, მიხეილ მურიანოვის რეცენზიები
ლიანას საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების შესახებ; უაღრე-
სად ღირებულია მსჯელობანი ლიანა კვირიკაშვილის მიერ გამოსაცემად
მომზადებული მონუმენტური ნაშრომის „ბერძნულ-ქართული დოკუმენტი-
რებული ლექსიკონის“ შესახებ, აგრეთვე, სხვა მეცნიერული შრომების თა-
ობაზე თამაზ გამყრელიძის, ავთანდილ არაბულის, რისმაგ
გორდეზიანის, ელგუჯა ხინთიბიძის, დამანა მელიქიშვილის,
ნელი მახარაძის, ნესტან სულავას, ლელა ხაჩიძის, ანა
ხარანაულისა და ლალი ჭღამაია-გრიგოლიას მიერ გამოთქმული
შეფასებები; ქალბატონ ლიანას სიყვარულით გამორჩეული მოგონებანი მი-
უძღვნეს: ლეილა წერეთელმა, მაია რაფაევამ, ცისანა გიგაურმა,
ლია კიკნაძემ, იამზე გაგუამ, მაია ნახუცრიშვილმა, ქეთევან
ჭერვალიძემ, რომლებმაც მკვლევრის მეცნიერული მემკვიდრეობაც შეა-
ფასეს და მოგონებებშიც გააცოცხლეს მისი შთამბეჭდავი სახე. ლიანა
კვირიკაშვილის ყოფილმა სტუდენტებმა (ამჟამინდელმა პროფესორებმა)
მანანა ფხაკაძემ და ვალერი ასათიანმა გაიხსენეს მისი პედაგოგი-
ური და სამეცნიერო მოღვაწეობა; წიგნში ცალკეა გამოყოფილი ლიანა კვირი-
კაშვილის მეგობრების — თანაკურსელების „მოგონებანი გარდასულ დღეთა“;

კერძოდ: ღია სტურუას, დამანა მელიქიშვილის, როინ ჭიკაძის, ნინო კონტრიძის, შოვნა კვანტალიანის, ემა ლებანიძის, ნარგიზ თოდრიას, ღია ჭანკვეტაძის, თინათინ სხირტლაძის, ლეილა ჭაბაშვილის, ციური თარგამაძის მოგონებებში გაცოცხლებულია მათი ერთად გატარებული წლები. ღიანა კვირიკაშვილის თანაკურსელთაგან განსაკუთრებული ყურადღება მინდა შევაჩერო წიგნის მთავარი რედაქტორისა და შემდგენლის იზა ჩანტლაძის მრავლისმომცველ სტატიასზე, რომელშიც ულამაზეს და უნიჭიერეს მეუღლეთა ცხოვრების ფურცლები პოეტურადაა გაცოცხლებული. ავტორი საინტერესოდ გვიამბობს იმის შესახებ, თუ როგორ უწყობდა ხელს ჯემალ კვირიკაშვილი ქალბატონ ღიანას სამეცნიერო მუშაობაში; სტატიასაც ასე ეწოდება: ღიანა და ჯემალ კვირიკაშვილები, ანუ შესანიშნავი ბიზანტინოლოგი და მისი „თითქმის თანავტორი თუ თანამომხმუნაკებელი“.

შთამბეჭდავია ფოტოალბომი, რომელშიც განთავსებულია ღიანა კვირიკაშვილის გამორჩეული ფოტოები ოჯახის წევრებთან, მასწავლებლებთან, ქართველ თუ უცხოელ კოლეგებთან, თანაკურსელებთან ერთად.

წიგნის მნიშვნელობა განსაკუთრებულია, იგი პროფესიონალიზმის, ხიყვარულის, მეგობრობის ნიმუშია. მასში გამოქვეყნებული რეცენზიები, სტატიები, მოგონებები კიდევ ერთხელ აცოცხლებენ ღიანა კვირიკაშვილს, შესანიშნავ მეცნიერსა და პიროვნებას, რომელმაც ღრმა კვალი დაამჩნია ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობების კვლევას, მთარგმნელობით საქმიანობას, რომელთაგან ყველაზე დიდი წვლილი მიიხსნა ჰიმნოგრაფიის შესწავლაში შეიტანა. იზა ჩანტლაძემ კეთილად მიაგო სიყრმის მეგობარს და ყველას დაანახვა, როგორ შეიძლება შეფასდეს დიდბუნებოვან ადამიანთა ღვაწლი და დამსახურება საკუთარი ერის, კულტურის, ლიტერატურის წინაშე. წიგნი მხოლოდ მემორიალური ხასიათისა არაა, მას მეცნიერული ღირებულება აქვს, რადგან მასში ღიანა კვირიკაშვილის შესანიშნავი შრომები, მათ შესახებ შექმნილი რეცენზიები და მისი მეცნიერული მემკვიდრეობის ობიექტური შეფასებებია დაბეჭდილი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იზა ჩანტლაძემ წიგნის შედგენაში ყველა მონაწილის შრომა შესაბამისად დააფასა და ყველაფერი აღწუსა, ხოლო თვით ქალბატონი იზასთვის ეს წიგნი ცხოვრების ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილად იქცა.

პროფესორი იზა ჩანტლაძე იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც ერის ისტორიაში ღრმა კვალს ტოვებენ, სიახლეს ამკვიდრებენ, ხალხის მომავლით ცოცხლობენ, მისთვის იბრძვიან. სამეცნიერო მუშაობა, ლექციების კითხვა, სტუდენტთა აღზრდა ის დიდი მისიაა, ბრძოლაა, რაც მას ღმერთმა არგუნა. ეს ფიგურალურად ნათქვამი სიტყვები არ გახლავთ,

რადგან ქალბატონ იზას საამისო ძალა ნამდვილად შესწევს, ხოლო დიდი **იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიით დაჯილდოება დაუზარელი შრომის დაფასებად და ყოველივე ამის მოწმობად უნდა მოვიაზროთ.**

ქალბატონო იზა, არაჩვეულებრივ დედას, ბებიასა და დიდდას, შესანიშნავ მეცნიერსა და პედაგოგს, საუკეთესო მეგობარსა და ყველასადმი კეთილად განწყობილ პიროვნებას (ერთხელ მითხარით — არავინ მძულსო), მინდა გისურვოთ ხანგრძლივი სიცოცხლე ჩვენი ქვეყნის, ჩვენი კულტურის საკეთილდღეოდ, მარად წარმატებების გზით გველოთ ქართული ენობრივი ფენომენის, ლინგვოკულტუროლოგიური პრობლემატიკის კვლევის საქმეში, რადგან ღრმად მწამს, რომ ჩვენი ქვეყნის მომავლისათვის მზრუნველ პიროვნებას **თქვენს წილი საქმე კიდევ გაქვთ საკეთებელი, რომელსაც სხვა ისე ვერ გააკეთებს, როგორც თქვენ აკეთებთ, და სიტყვა სათქმელი, რომელსაც სხვა ისე ვერ იტყვის, როგორც ამას თქვენ ამბობთ და იტყვით.** ყოველივე ამის დასტურია რუსეთის მეცნიერებათა საიმპერატორო აკადემიის სანკტ-პეტერბურგის არქივში თქვენ მიერ სულ ახლახან აღმოჩენილი ერთი დიდებული ხელნაწერის გამოცემაზე ზრუნვა. ეს გახლავთ მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერის, აკადემიკოს ნიკო მარის "Сванско-русский словарь" (1916), რომელიც შესაბამის ფონდში მთელი საუკუნის მანძილზე შეცდომით იყო ფიქსირებული.

ნესტან ხულაგა

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ქართული ლიტერატურის ისტორიის სამეცნიერო-სასწავლო
ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი.